



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში IV კვარტალი

თბილისი

2019

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბები	-1
მედიაწარმოება	-12
მედია და კომუნიკაცია	-16
ტექნიკური უზრუნველყოფა	-22
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	-25
იურიდიული სამსახურის ანგარიში	-26
„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივი	-34
ფინანსები და ადმინისტრაცია	-36

ახალი და მიმდინარე ამბები

1. მოკლე მიმოხილვა

პირველი არხი აგრძელებს მასშტაბურ ტექნიკურ გადაიარაღებას. საანგარიშო პერიოდში დაიწყო **მოამბისა** და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუებისთვის განკუთვნილი ახალი მაღალტექნოლოგიური სტუდიების მომზადება. სამუშაოები 2020 წლის დასაწყისში დასრულდება.

პირველმა არხმა ქართულ ინტერნეტ სივრცეში ლიდერი პოზიცია დაიკავა, რასაც საერთაშორისო მთვლელების მონაცემებიც ადასტურებს.

პროექტმა **მრავალფეროვანი საქართველო** მორიგი აღიარება მოიპოვა - გადაეცა ჯილდო **ტოლერანტობის ქომაგი**. დაიწყო მუშაობა პროექტზე **ჩვენი ქართული ენა**. პროექტის მიზანია ქართული ენის პოპულარიზაცია არაქართულენოვან სკოლებში და იმ რეგიონებში, სადაც ჩვენი თანამოქალაქე ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ.

საქართველოს პირველმა არხმა არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება გააშუქა. მათ შორის გამორჩეულია რაგბის მსოფლიო თასი. **პირველმა არხმა** 2020 წლის სეზონისთვის შეიძინა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პირდაპირი ტრანსლაციის უფლება.

პროექტმა **ბიზნესპარტიორი** რადიომსმენელებს ორი ახალი პროექტი შესთავაზა.

საქართველოს პირველი არხის ისტორიაში პირველად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის დაზიანების გამო ფულადი კომპენსაცია მიიღეს.

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორი გიორგი გვიმრაძე ევროპის მაუწყებელთა კავშირის ახალი ამბების კომიტეტის სარედაქციო ქვეკომიტეტის წევრად აირჩიეს.

საანგარიშო პერიოდში აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე. ამავე დროს, გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული მოვლენა.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

საქართველოს პირველი არხი

- ტრიბუნა - 9
- აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად - 14
- კვირის ინტერვიუ - 12
- ახალი კვირა - 12
- 42° პარალელი - 14
- თავისუფალი ხედვა - 11
- ბიზნესისპარტიორი - 221 (გადაცემა და რუბრიკები)
- ტაიმაუტი - 58

- ნაშუადღევს -58

□ საქართველოს რადიო

- ღია სტუდია - 63
- მსოფლიო ამბები - 14
- ესტაფეტა - 56
- ლეგიონი - 12.

2. სიახლეები

2.1. ვებ-გვერდისა და Youtube არხების სტატისტიკა

პირველი არხი უკვე რამდენიმე წელია ადარ არის ტრადიციული მაუწყებელი და ის მულტიმედია ბრენდად გარდაიქმნა. პირველმა არხმა ინტერნეტ პლატფორმა პრიორიტეტულად დაისახა და ქართულ ინტერნეტ სივრცეში ლიდერი პოზიციები დაიკავა.

საქართველოს პირველმა არხმა ჩაატარა კვლევა, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო მთვლელის alexa.com-ის, youtube.com-ისა და google analytics-ის მონაცემებს. კვლევაში ასევე გამოყენებულია ინსტრუმენტები: socialbacker.com, noxinfluencer.com და socialblade.com.

ALEXA.COM არის გლობალური

ქართული ტელეარხების ვებგვერდების რანგირება ALEXA.COM-ის მიხედვით საბოლოო მონაცემები 09.09.2019 - 09.12.2019				ქართული საინფორმაციო პორტალების რანგირება ALEXA.COM-ის მიხედვით საბოლოო მონაცემები 09.09.2019 - 09.12.2019			
ვებგვერდები			რანგი (საერთაშორისო)	საინფორმაციო პორტალები			რანგი (საერთაშორისო)
	1	Itv.ge პირველი არხი	76 721		1	on.ge	50 653
	2	rustavi2.ge რუსთავი2	89 029		2	interpressnews.ge	53 797
	3	imedi.ge იმედი	110 306		3	Itv.ge	76 721
	4	ajaratv.ge აჭარის ტელევიზია	279 957		4	rustavi2.ge	89 029
	5	palitranews.ge პალიტრანიუსი	352 996		5	primetime.ge	102 727
	6	mtavari.ge მთავარი	638 192		6	imedinevs.ge	104 903
	7	formula.ge ფორმულა	787 005		7	fortuna.ge	116 286
	8	tvpirveli.ge ტპ პირველი	-		8	netgazeti.ge	119 380
	9	obieqtivi.info.ge ობიექტივი	-		9	sputnik-georgia.com	139 524
	10	maestro.ge მასტრო	-		10	pia.ge	179 083
ALEXA GLOBAL TRAFFIC RANK - ვებგვერდების რეიტინგი, რომელიც შედგენილია გლობალური ნახვების, უნიკალური ვიზიტორების, საიტზე გატარებული საშუალო დროის და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების მიხედვით					11	commerciant.ge	192 096
					12	radiotavisupleba.ge	203 926
					13	tabula.ge	237 370
					14	ajaratv.ge	279 957

სარეიტინგო სისტემა, რომელიც ახდენს მსოფლიოში არსებული ვებგვერდების რანგირებას სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. მთვლელი ეფუძნება ვებ-გვერდების მომხმარებლების სხვადასხვა მაჩვენებლებს ბოლო სამი წლის განმავლობაში.


ამ ინსტრუმენტებს აქტიურად იყენებენ მსოფლიოს წამყვანი კომპანიები სოციალური მედიის პლატფორმების შედარებითი ანალიზისთვის.

სტატისტიკა აჩვენებს **პირველი არხის** ვებ-გვერდის ლიდერ პოზიციებს.

პირველი არხი ასევე ლიდერია **Youtube**-არხებს შორისაც. ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკა ეყრდნობა ამ ტელევიზიების ოფიციალური იუთუბარხებისა და მათი სხვადასხვა პროექტის არხების ჯამურ მონაცემებს.


ტელევიზიების Youtube არხების ჯამური რეიტინგი ნახვების რაოდენობის მიხედვით

ორი კვირის მონაცემები (26.11.2019-09.12.2019)



2.2. ახალი სტუდია

საქართველოს პირველი არხი აგრძელებს მასშტაბურ ტექნიკურ გადაიარაღებას. პროექტის ფარგლებში დაიწყო ახალი მაღალტექნოლოგიური სტუდიების მომზადება. სამუშაოები 2020 წლის დასაწყისში დასრულდება. შესაბამისად, საინფორმაციო გამოშვება „მომამბე“, ასევე ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თანამედროვე სტუდიებიდან მოგაწვდით ობიექტურ, გადამოწმებულ, უტყუარ და ყველაზე სანდო ინფორმაციას საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.



2.3. მრავალფეროვანი საქართველო

საქართველოს პირველი არხის პროექტს „*მრავალფეროვანი საქართველო*“ ტოლერანტობის ქომაგის ჯილდო გადაეცა. ტოლერანტობის ქომაგები სახალხო დამცველის აპარატმა დააჯილდოვა. *პირველი არხის* პროექტმა გაიმარჯვა ნომინაციაში *მედია საშუალება ან პროექტი*.




დაჯილდოების ცერემონია ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა. სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოებმა ის პირები, ორგანიზაციები და მედია-საშუალებები დააჯილდოვეს, რომლებმაც ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს. საბჭოებმა ქომაგები შემდეგ ნომინაციებში გამოავლინეს: მედია-საშუალება, ან პროექტი, პიროვნება, საჯარო მოხელე და ორგანიზაცია. დაჯილდოებისას აღინიშნა, რომ ორი წლის წინ *საქართველოს პირველ არხზე* შეიქმნა ჯგუფი *მრავალფეროვანი საქართველო*. ამ პროექტის წყალობით ამუშავდა ორი სრულფასოვანი არხი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, *პირველი არხის* ვებ-გვერდი ხელმისაწვდომი გახდა შვიდ ენაზე, დაიწყო *მომბის* სინქრონული თარგმანი, შეიქმნა ორიგინალური გადაცემები უმცირესობათა ენებზე. მიღებული ჯილდო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სფეროში *მრავალფეროვანი საქართველოს* კიდევ ერთი აღიარებაა.

პირველი არხი აგრძელებს ეთნიკური უმცირესობისთვის განკუთვნილ ახალ პროექტებზე მუშაობას. *საქართველოს პირველ არხზე* ახალი პროექტი *ჩვენი ქართული ენა* იწყება. პროექტი ითვალისწინებს არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენის ტელე-ოლიმპიადის ჩატარებასა და ვიდეო გაკვეთილების კურსს. პროექტის *ჩვენი ქართული ენა* მთავარი მიზანი არის ქართული ენის პოპულარიზაცია არაქართულენოვან სკოლებში და იმ რეგიონებში, სადაც ჩვენი თანამოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ. აღნიშნული პროექტი, თავის მხრივ, არაქართულენოვანი სკოლებისთვის იქნება, როგორც ერთგვარი მოტივაცია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა უკეთ ისწავლონ სახელმწიფო ენა.



ერთი წლის განმავლობაში, ყველა არაქართულენოვან სკოლას ექნება პროექტში მონაწილეობის საშუალება, ასეთი კი დაახლოებით 220 სკოლაა. საანგარიშო პერიოდში პრაქტიკულად დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები.

2.4. მსოფლიოს ჩემპიონატი რაგბიში



საანგარიშო პერიოდში *საქართველოს პირველმა არხმა* არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება გააშუქა. მათ შორის გამორჩეულია რაგბის მსოფლიო თასი.

თვენახევრის განმავლობაში ტელემყურებელი 48 მატჩის პირდაპირ რეპორტაჟი იხილა. რეპორტაჟების გარდა *პირველმა არხმა* ტელე, რადიო და ინტერნეტ-აუდიტორიას შესთავაზა ჩემპიონატის მიმოხილვა და ანალიზი.

პირველი არხის აუდიტორიისთვის 2020 წელი გამორჩეულად საინტერესო იქნება. საანგარიშო პერიოდში *პირველმა არხმა* შეიძინა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პირდაპირი ტრანსლაციის უფლება.

პირველი არხის სპორტული რედაქციის კიდევ ერთ აღიარებას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჯილდო. სეოკ-მა 2019 წლის საუკეთესო სპორტული

შედეგების მიხედვით განსაზღვრულ ნომინაციებში გამარჯვებულები გამოავლინა. ოლიმპიური მოძრაობის მედია მხარდამჭერის ნომინაციაში სეოკმა გამარჯვებულად *საქართველოს პირველი არხი* დაასახელა.

2.5. ბიზნესპარტნიორი

საანგარიშო პერიოდში გადაცემა *ბიზნესპარტიორმა* რადიომსმენელს შესთავაზა ორი ახალი პროექტი.

ბიზნესპარტნიორი პიკის საათში – *საქართველოს რადიოს* მსმენელებს საშუალება აქვთ, ბიზნესისა და ეკონომიკის სიახლეებს დეტალურად გაეცნონ ყოველ სამუშაო დღეს, 09:35-საათზე. რუბრიკის პირველ ნაწილში მსმენელი შეიტყობს ბიზნესისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან სიახლეებს, მეორე ნაწილში კი- უკვე სტუმრების მონაწილეობით შეაჯამებს დღისა და კვირის მნიშვნელოვან სიახლეებს.



კიდევ ერთი რუბრიკა *ბიზნესი სოფო მაქაცარიასთან* ერთად წარმოადგენს გადაცემის „*სახლისკენ*“ ყოველკვირეულ რუბრიკას და უფრო ვრცელი ინტერვიუს ფორმატი გააჩნია. ეს რუბრიკა ეთერში კვირაში ერთხელ გადის.

ორივე რუბრიკას ეთმობა რადიოს დილის და საღამოს პრაიმ-თაიმი. კიდევ ერთი ბიზნესპარტნიორი გადის ყოველ სამუშაო დღის 14:30-საათზე. საუბარია 10-წუთიან ტელერუბრიკის რადიოვერსიაზე, რომელიც გადის *პირველი არხის* დილის პროგრამაში *ახალი დღე*.

ბიზნესპარტნიორი არის გარეწარმოების პროექტი, რომელსაც ახორციელებს *ბიზნეს მედია კორპორაცია*-საქართველოს ბიზნესმედია ბაზარზე ერთ-ერთი წარმატებული კომპანია. *ბიზნეს მედია კორპორაცია* ფლობს გაზეთ *Caucasus Business week*-ს, ასევე ვებ პორტალებს *bpi.ge* და *avianews.ge*.

2.6. კომპენსაცია პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაზარალებული ჟურნალისტებისთვის

საქართველოს პირველი არხის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები ფულად კომპენსაციას მიიღებენ.

საქართველოს პირველი არხის
ჟურნალისტებს, ლიკა
ალელიშვილსა და ნიკა
მუხიგულაშვილს, ასევე
ოპერატორ კახა ჯონჯუას,
რომლებიც 20-21 ივნისის
მოვლენებისას დაშავდნენ,
კომპენსაცია გადაეცათ.

საქართველოს პირველი
არხისთვის მნიშვნელოვანია,
რომ ახალი ამბების
ჟურნალისტები დაცულად
გრძნობდნენ თავს.



2.7. გიორგი გვიმრაძე ევროპის მაუწყებელთა კავშირის ახალი ამბების კომიტეტის წევრად აირჩიეს

საქართველოს პირველი არხის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორი გიორგი გვიმრაძე ევროპის მაუწყებელთა კავშირის ახალი ამბების კომიტეტის სარედაქციო ქვეკომიტეტის წევრად აირჩიეს.

იგი კომიტეტში საქართველოს პირველი არხის წარმომადგენელი 2020-2021 წლებში იქნება და კომიტეტის სარედაქციო გადაწყვეტილებებში მიიღებს მონაწილეობას.

ევროპის მაუწყებელთა კავშირის ახალი ამბების კომიტეტი ახორციელებს ყველა წევრი ქვეყნის ახალი ამბების სამსახურებს შორის ინფორმაციისა და მასალების გაცვლას. სარედაქციო ჯგუფი ამ კომიტეტის ძირითად სარედაქციო გადაწყვეტილებებს განსაზღვრავს.

3. გაშუქებული თემები

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები *მოამბე 21:00 საათზე, მოამბე - დღის თემა, აქტუალური თემა მკაცრ ცინცადესთან ერთად, კვირის ინტერვიუ, ახალი კვირა,*



თავისუფალი ხედვა, პირველი აუდიტორია, 42° პარალელი, მსოფლიოს ამბები, ბიზნესპარტნიორი, ღია სტუდია, ტაიმსუტი, ესტაფეტა და ლეგიონი ორიენტირებულია როგორც მიმდინარე ასევე, ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

წინა საანგარიშო პერიოდში დაიწყო ახალი ფორმატის თოქ-შოუ *ტრიბუნა*. პლატფორმის მიზანია კონსტრუქციული დებატების ფორმატის შექმნა. *ტრიბუნა* ხელს შეუწყობს ამომრჩევლის ინფორმირებას საპარლამენტო არჩევნების წინ.

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ ჯგუფებს საშუალება მიეცათ, გამოიყენონ *პირველი არხის ტრიბუნა*, რათა ამომრჩევლებს შესთავაზონ საკუთარი იდეები და პოზიციები.

გაიმართა დებატები, რომლის თემაც საკონსტიტუციო ცვლილებები, საარჩევნო სისტემა და 2020 წლის არჩევნები იყო.

საანგარიშო პერიოდში *საქართველოს პირველმა არხმა* გააშუქა ყველა მნიშვნელოვანი თემა, ყველა პოზიცია და აუდიტორიას საშუალება ჰქონდა, მიეღო ამომწურავი და დაზუსტებული ინფორმაცია ქვეყანაში, თუ მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში *პირველი არხის* საინფორმაციო სამსახურმა გააშუქა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და მაყურებელს შესთავაზა როგორც ფაქტების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, ასევე ყველა მხარის პოზიცია/ შეფასება.

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა, საარჩევნო სისტემა გახდა პოლიტიკური დისკუსიის მთავარი თემა. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, პარლამენტის ამ გადაწყვეტილების, ოპოზიციის მოთხოვნებისა და საარჩევნო სისტემაზე და გამართული კონსულტაციების შესახებ არაერთი რეპორტაჟი, გადაცემა და დებატი მომზადდა და ასევე, პირდაპირი ჩართვების, თუ სიუჟეტების საშუალებით მაყურებელს საშუალება ჰქონდა, დეტალურად გაცნობოდა ყველა ინიციატივას საარჩევნო მოდელების შესახებ. პირდაპირი ჩართვების და რეპორტაჟების საშუალებით გაშუქდა პროპორციული არჩევნების მოთხოვნით გამართული

საპროტესტო აქციები, აქციების მიმდინარეობისას რამდენჯერმე *მოამბე* სპეც-გამოშვების ფორმატით გავიდა ეთერში. სპეციალური რეპორტაჟები და გადაცემები მომზადდა პარლამენტში შექმნილ ახალ პოლიტიკურ რეალობაზე, უმრავლესობიდან დეპუტატების ნაწილის გასვლაზე, ოპოზიციური გაერთიანების გეგმებზე, მათ მიერ, ე.წ. „შავი სიების“ მომზადებაზე, პარლამენტში გამართულ ხმაურიან პოლიტიკურ დებატებსა, თუ ინციდენტებზე.

არაერთი სიუჟეტი და ჩართვა მომზადდა საპატრიარქოში მიმდინარე პროცესების და სინოდის გადაწყვეტილების, ასევე შეწყალების ახალი წესის ამოქმედების შესახებ.

მომზადდა სიუჟეტები და გადაცემები აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვის საკანონმდებლო ცვლილებებზე. გაშუქდა *პირველი არხის* მენეჯმენტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მაუწყებელი უარს აცხადებს აზარტული თამაშების რეკლამის განთავსებაზე.

როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, ამჯერადაც ერთ-ერთი მთავარი თემა იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის და არჩევის პროცესი. პარლამენტში გამართული მოსამართლეობის ყველა კანდიდატის მოსმენაზე *მოამბემ* ცალ-ცალკე რეპორტაჟები მოამზადა, გაშუქდა მოსამართლედ დამტკიცება და პოლიტიკური აქტორების პოზიციები ამ პროცესთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად შუქდებოდა საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე პროცესები, საოკუპაციო რეჟიმის მიერ ევროკავშირის დამკვირვებლების დაკავება, უკანონო ბორდერიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობის გატაცება და ერგენტის შეხვედრები. გაშუქდა ოქტომბერში გამართული შენევის მოლაპარაკებები. პრალაში გამართული აბაშიძე-კარასინის შეხვედრა. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საოკუპაციო რეჟიმის მიერ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაპატიმრებას. ექიმის დაკავებიდან გათავისუფლებამდე პერიოდში ეს თემა თითქმის ყოველდღიურად შუქდებოდა.

მოამბემ გააშუქა როგორც საქართველოში გახორციელებული მაღალი რანგის ვიზიტები (მათ შორის, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის ვიზიტი თბილისში), ასევე საქართველოს პრემიერის ვიზიტები თურქეთში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. მომზადდა რეპორტაჟი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხმაურიან ვიზიტზე მოსკოვში. ტრადიციულად, დიდი დრო დაეთმო ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. ფართოდ გაშუქდა საქართველო-ნატოს (მათ შორის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი) და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, ასევე, აშშ-საქართველოს თანამშრომლობა და საქართველოს მხარდამჭერი აქტის მიღება. მომზადდა რეპორტაჟები საქართველოს მიერ ევროსაბჭოს თავმჯდომარეობაზე.

ფართო გამოხმაურება მოჰყვა *პირველი არხის* გადაცემა „თავისუფალ ხედვაში“ გასულ ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოს პრეზიდენტთან. გაშუქდა ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებებზე გაკეთებული პოლიტიკური შეფასებებიც.

მოამბის მთავარ გამოშვებაში წარმოდგენილი იყო ყველა მნიშვნელოვანი თემა, ყველა პოზიცია და მაცურებელს საშუალება ჰქონდა, მიეღო ამომწურავი და დაზუსტებული ინფორმაცია ქვეყანაში, თუ მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს, ადგილობრივი თვითმართველობების მუშობის ეფექტურობას და მოსახლეობის წინაშე არსებულ პრობლემებს.

სისტემატიურად შუქდებოდა კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენები, ახალი პროექტები, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული საკითხები.

განსაკუთრებული აქცენტი ჰქონდა დათმობილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გამოვლენილ ახალ აღმოჩენებს. კვლავ ყურადღების ცენტრში იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მძიმე მდგომარეობა.

ცალკე აღსანიშნავია პროექტი *მრავალფეროვანი საქართველო*. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება რეპორტაჟები და დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

პროექტის *მრავალფეროვანი საქართველოს* მიზანია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის მიერ გაშუქებული ექსკლუზიური, საგამომიებო და არამეინსტრუმული თემების ჩამონათვალი იხილეთ დანართის სახით.

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

ბიზნესპარტნიორი - პროექტის მიზანია, აუდიტორიას მიაწოდოს ყველაზე ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ბიზნეს აქტივობებზე. პროექტი წარმოადგენს გარე წარმოებას და მას ახორციელებს *ბიზნეს მედია კორპორაცია*. ეს კორპორაცია მედია ბაზარზე ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა, რომელიც ბიზნესის ამბებზეა ორიენტირებული. *ბიზნეს მედია კორპორაცია* ფლობს გაზეთ *Caucasus Business week*-ს, ასევე ვებ პორტალებს *bpi.ge* და *avianews.ge*.

მთავარი (Главное) - ყოველდღიური რუსულენოვანი გადაცემა. პროგრამა წარმოადგენს *რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა* და *ამერიკის ხმის* ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ მაუწყებლებთან თანამშრომლობით.

მედია წარმოება, რადიო, ტელევიზიები

2019 წლის მეოთხე კვარტალში ტელე და რადიო პროექტები მაუწყებლობის ფაზაში:

ტელევიზია	რადიო
ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია	პიკის საათი
ტელეზღუდები	საუკეთესო ნიგნები
საქართველოს ვარსკვლავი	„ ჩვენი ფერმა“
ტაიმაუტი	რადიოკალენდარი
ბიზნესპარტნიორი	ხალხური სიმღერის გაკვეთილები
ახალი დღე	ჩაკრულო
მარი მაღაზონია	სი ბემოლ ვიტამინი
ნაშუადღევს	კლასიკა ყველასთვის
რეალური სივრცე	„ მუსიკის თორმეტეტი
ჩვენი ფერმა	ჯამ ოფერენია
მარტივი ლოგიკა	მთელი ეს როკი
ხარ თუ არა შეეცესე კლასიკაში ჭკვიანი	ისტორიის პოპ გაკვეთილები
კაცები	უცნობი მუსიკა
ნიგნების თარო 1	აკუსტიკა
ნიგნების თარო 2	არტნიუსი
დოსიე	რადიო ექსპრესი
პოპულა, ჩვენ ვცოცხლობთ	სახლისაკენ
მასტერ შეფი	ჩაი ორისთვის
რა სად როდის	ლიტერატურული თეატრი
აკუსტიკა	რადიოსპექტაკლი
	სპექტაკლის დრო
	თეატრის დრო
	ბიზნესპარტნიორი
	ქართული კლასიკური მწერლობა
	კადენცია
	რადიოსერიალი
	ჩვენი სკოლა

შენიშვნა: ახალი (2019 წლის დეკემბერი) სეზონის მონაცემებით, ყველა გადაცემა, რომლის მაუწყებლობა მიმდინარეობდა გასულ (2019) სეზონზე, აგრძელებს მუშაობას.

ტელე პროექტები წინასწარმოო წარმოების ფაზაში:

შუადღის ზოლი - მიმდინეობს შუადღის გადაცემის დაფორმატება. არსებული ზოლის პრიორიტეტული მიმართულება იქნება კულტურის დარგის განვითარების ხელშეწყობა. გადაცემის ეთერში ჩაშვება იგეგმება 2020 წლის აპრილში.

დოსიე - გადაფორმატდა გადაცემა დოსიე. 2020 წლის იანვრიდან მაყურებელი გადაცემას თოქ შოუს ფორმატში იხილავს.

რანინა - საწარმოო სამზადისი დაიწყო მუსიკალურმა პროექტმა რანინა. ისევე, როგორც წინა სეზონზე, პროექტის გამარჯვებული საქართველოს 2020 წლის საბავშვო „ევროვიზიაზე“ წარადგენს.

„ოქროს საგანძური“ - „ჩანახატები“ - „ოქროს საგანძური“ საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტია. ეროვნული მუზეუმი იწყებს შალვა ამირანაშვილის

სახელობის ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის გახსნას და საცავებში არსებული უნიკალური ექსპონატების აღწერილობას, რომელთა დიდი ნაწილი მკვლევართათვისაც კი დღემდე მიუწვდომელი იყო. ამ პროცესის ვიდეოფიქსაციას შესაბამისი კომენტარებით განახორციელებს საზოგადოებრივი მაუწყებელი. გადაღებული მასალა სრულად დაარქივდება და ამ მასალის საფუძველზე სამომავლოდ მომზადდება დოკუმენტური ფილმი (ან ციკლი ფილმებისა) ოქროს საგანძურზე. ექსპონატების აღწერილობის ვიდეოფიქსაციის პარალელურად მომზადდება 3-5 წუთიანი ჩანახატები თითოეული ექსპონატის ისტორიის შესახებ.

- მარტივი ლოგიკა - პროექტი გადავიდა გარეწარმოების ფორმატზე.
- ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი? - პროექტი გადავიდა გარეწარმოების ფორმატზე.
- წიგნების თარო (სასკოლო) - პროექტი გადავიდა გარეწარმოების ფორმატზე.
- წიგნების თარო (სტუდენტური) - პროექტი გადავიდა გარეწარმოების ფორმატზე.

ფილმები (დოკ; მხ. ფილმები და სერიალები) წინასწარმო და წარმოების ფაზაში:

პრესა და ერი - 9 სერიანი ფილმი (წარმოების შემდგომი ფაზა) (ავტორი თამაზ ჯოლოგუა, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი) ფილმი 6-7-8-9- მიმიდნარეობს სერიების პოსტ პროდუქცია.

სერიალი „ქიმია“ : წინა საწარმო ფაზაშია სერიალი „ქიმია“. სერიალი გვიამბობს ქალებზე, რომლებიც ერთ-ერთი სპეციალიზებული კლინიკის ქიმიოთერაპიის კაბინეტში გაიცნობენ ერთმანეთს. სერიალი გვიჩვენებს მათი ცხოვრების რამდენიმე თვეს (მთავარი გმირის ქიმიოთერაპიის ერთ კურსს), რომლის განმავლობაშიც 5 მთავარი პერსონაჟი დამეგობრდება. 40 წლის კარიერისტი, ასაკოვანი ქალბატონი, სამი მცირეწლოვანი შვილის დედა, გზააბნეული და ოჯახისგან უარყოფილი ქალი და 25 წლის ყურებამდე შეყვარებული გოგონა ქიმიოთერაპიის ოთახში დიდმა განსაცდელმა შეახვედრა. ისინი ერთმანეთს სულ არ ჰგვანან, ერთი თუ საქმიანია, აქტიური, მეორეს ცხოვრებაზე ხელი აქვს ჩაქნეული. მაგრამ სეზონის ბოლოს მათ შორის იშლება ასაკობრივი, სოციალური და საერთოდ ყველანაირი ზღვარი. ერთმანეთისთვის ისინი ყველაზე ახლობელი ადამიანები ხდებიან - ქალები ერთად ამარცხებენ არა მხოლოდ დაავადებას, არამედ ცრურწმენებს, კომპლექსებს, შიშებს და უიმედობას.

„გვიანი შემოდგომა“: (წარმოების ფაზა) ფილმის მოქმედება ვითარდება 1998 წელს. ხელისუფლებასთან დაპირისპირებული მეგობარი ფიზიკოსები, რომლებიც ქალაქგარეთ ცხოვრობენ, გადაწყვეტენ, ააფეთქონ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ისინი იწყებენ ასაფეთქებელი მოწყობილობის გაკეთებას, მაგრამ „ბომბის შექმნის“ ისტორია მათთვის ტრაგიკულად მთავრდება.

„25 საათი“ -7 სერია: (წინასწარმო ფაზა) ფილმში მოქმედება ვითარდება 25 საათის განმავლობაში. სამსახურში მიმავალი ახალგაზრდა ტელეჟურნალისტი ქალი შეესწრება ბანკის ფილიალის მარცვას. მმარცველი ვერ მოახერხებს გაქცევას და აიყვანს მძევლებს. პოლიცია ბანკის ფილიალს ალყას შემოარტყამს და გეგმავს მძევლების გათავისუფლებას. უნებურად ტელეჟურნალისტი აღმოჩნდება მმარცველთან ურთიერთობაში. ფილმის მსვლელობისას ირკვევა მმარცველის მოტივაცია და მისი პირადი ისტორია.

“საიდუმლო კარტოთეკა“ მეორე სეზონი – 2 ფილმი (4 სერია, წარმოების ფაზა) : პროექტი ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში დაცულ ორ არქივს: საბჭოთა უშიშროების სამსახურის სისხლის სამართლის საქმეებს და კომუნისტური პარტიის არქივის მასალას, სადაც თავმოყრილია პარტიის ყველა რგოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები. სისხლის სამართლის საქმეებისა და პარტიული არქივის გარდა, პროექტის მომზადებისთვის გამოყენებული

იქნება იმ დროის პერიოდული გამოცემები, აგრეთვე საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტები. ამ ოთხი კომპონენტის ერთობლიობა, ჩვენთვის საინტერესო ეპოქის სრულფასოვანი აღწერის საშუალებას იძლევა. თითოეული ფილმი დაეფუძნება კონკრეტულ კრიმინალურ ისტორიას, რომელიც გაიშლება სისხლის სამართლის საარქივო მასალების მიხედვით. იგულისხმება დაკითხვის ოქმები, აგენტურული ინფორმაცია, ანალიტიკური მოხსენებები. მთავარი კრიმინალური ხაზი გამდიდრდება ეპოქის შესაბამისი სხვადასხვა ინფორმაციით, რომელიც საშუალებას მოგვცემს, აღვწეროთ იმ დროის ყოფა, კულტურული ცხოვრება, პოლიტიკური ვითარება და ა.შ.

აკა მორჩილაძე - დაკარგული წიგნების (ქვეთავი)- უკანასკნელი დღეები - 18 სერია (წარმოების ფაზა) : სერიალი ეყრდნობა მემუარებსა და ჩანაწერებს, რომლებიც უკანასკნელ ქართულ სამთავროებში- სამეგრელოსა და სვანეთში, რუსული მმართველობის საბოლოო შემოღების და ამ სამთავროების გაუქმების შესახებ მოგვითხრობენ. დრამატული ისტორია ეფუძნება ამ პროცესების მონაწილის, კირილ ბოროზდინის ცნობილ და მივიწყებულ წიგნს - „იმერკავკასიური მოგონებები, სამეგრელო და სვანეთი 1853-61 წწ“ რომელიც უკანასკნელად, 85 წლის წინათ გამოიცა არასრული სახით.

„ისტორიის ანარეკლი“ -მრავალსერიანი დოკუმენტური პროექტი (5 წუთიანები) ამ ეტაპზე დაგეგმილია 3 საპილოტე ფილმის წარმოება შემდგომი განვითარების პერსპექტივით. - საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია და ნებისმიერი გლობალური მოვლენა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე. ამდენად, საქართველოს ისტორიაში ყველა საკვანძო მომენტი, სწორედ გლობალური მოვლენების ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენს. მაგ.: 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. ჩვენს ქვეყანაში წითელი არმიის შემოჭრას წინ უძღოდა პირველი მსოფლიო ომი და ამ ომში გამარჯვებული ქვეყნების მიერ მსოფლიოს ახალი გადანაწილება გავლენის სფეროებად; საქართველოს გასაბჭოება სწორედ ამ გადანაწილების რთული პროცესის პირდაპირი შედეგი გახდა. მსგავსს ჭრილში შეიძლება, განვიხილოთ, მაგალითად, 1453 წელს ოსმალთა მიერ ქ. კონსტანტინეპოლის აღება, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ისტორიაზე. ასევე - XI- XIII საუკუნეში მიმდინარე ჯვაროსნული ომები და ა.შ.

მსგავსი სახის პროექტი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის რეალური ისტორიის გააზრებას, მაყურებელს აჩვენებს, რომ საქართველო განყენებულად მდგარი ქვეყანა კი არ არის, არამედ მუდმივად განიცდის გარე ფაქტორების ზემოქმედებას და სწორედ ამ ზემოქმედების შედეგად ხდება მისი ტერიტორიის, ეთნოსის, ეკონომიკის, კულტურის ფორმირება.

პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე ათეული დამოუკიდებელი სერიის შექმნას, რომელიც დაიწყება კავკასიის რეგიონის გეოგრაფიული ფორმირების ხანიდან და თანდათანობით მოიცავს ყველა პერიოდს - მეოცე საუკუნის ჩათვლით.

პროექტი განხორციელდება ისტორიკოსების და სხვადასხვა დარგის ექსპერტების ჩართვით, რომელთა მეშვეობითაც გაიშლება კონკრეტული ეპოქა და გამოიკვეთება ძირითადი აქცენტები.

რადიო პროექტები წინასწარმოო და წარმოების ფაზაში: ამ ეტაპზე ახალი რადიოპროექტები წარმოების ფაზაში არ არის.

კვლავ გრძელდება რადიოს განვითარების პროექტი. შეგახსენებთ, რომ განვითარების პროექტი რომელიც გასულ სეზონზე დაიწყო, ემსახურება: რადიოს ეფექტურობის გაძლიერებას; რადიოს მოქნილობის გაზრდას და თანამედროვე ტენდენციებზე მორგებას.

სხვა:

- 2019 წლის 13 ოქტომბერს გავიდა დოკუმენტური ფილმი „გურამ ბზვანელი“ (ავტორი ლევან ბზვანელი, რეჟისორი ლევან კიტია)
- 2019 წლის 16 სექტემბრიდან ყოველ ორშაბათსა და სამშაბათს ეთერში გავიდა „სტოკსი-პოლკოვნიკის დახეული წერილები“.
- დასრულდა მრავალსერიანი ფილმების ციკლი „საიდუმლო კარტოთეკის“ (ავტორი: მიხეილ ბასილაძე, რეჟ. შალვა შენგელი. მე-3 ფილმის 5-6 სერიის მონტაჟი)
- დასრულდა დოკუმენტური სერიალის „პრესა და ერის“ (ავტორი თამაზ ჯოლოგუა, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი) 1 და მე-2 ფილმის 3-4 სერია.
- დასრულდა „დაკარგული წიგნები“ 11 სერია - მესხეთი-ალექსანდრე ფრონელი (ავტორი აკა მორჩილაძე, რეჟისორი გიორგი ებრალიძე)
- გაფორმდა ხელშეკრულება ელდარ შენგელაის მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ჭა“ თანადაფინანსების შესახებ ფილმის ჩაბარების შემდეგ.
- საერთაშორისო კინოფესტივალის „პრომეთეს“ ფარგლებში გამარჯვებული მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების რეჟისორებს მომავალი ფილმის წარმოებისთვის ფინანსური მხარდაჭერის წერილი გადაეცათ.

დებიუტი:

პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე დაფინანსდა 7 მოკლემეტრაჟიანი სადებიუტო ფილმი:

1. „ფოტო გადაღება“ -რეჟისორი ილია ასიტაშვილი.
2. „მილა“ - რეჟ: სალომე ვეფხვაძე
3. „სასტუმრო მირაჟი“ - გურამ ბაქრაძე
4. “flyt” - გრიგოლ ნოდია
5. „შავი ზღვა“ - თინათინ ემირიძე
6. „თანაგრძნობა“ - ზვიად ციკოლია
7. „ღამის სკოლა“ - გრიგოლ სამსიანი

4 ოქტომბერს დასრულდა და ჩაბარდა „სასტუმრო მირაჟი“ - რეჟ. გურამ ბაქრაძე;

ამ ეტაპისთვის დასრულებულია და ჩაბარებულია 3 ფილმი.

პროექტი „შავი ზღვის“ ჩაბარების ვადაა 2020 წლის იანვარი.

გაფორმდა ორი პროექტის „თანაგრძნობა“ (ზვიად ციკოლია) და „ღამის სკოლა“(გრიგოლ სამსიანი) ხელშეკრულება, ფილმები ჩაბარდება 2020 წლის თებერვალში .

მედია

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს 2019 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში მედიის ბლოკის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშს.

ცვლილებები ბადეში

საქართველოს პირველი არხის 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამაუწყებლო ბადეს დაემატა ორი ახალი პროექტი:

„ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია“ - 19 ოქტომბრიდან შაბათ-კვირა;

„ტელემუზეუმი“ - 2 დეკემბრიდან, კვირაში ხუთი დღე (ორშაბათი - პარასკევი).

აღსანიშნავია სეზონის წარმატებული პროექტები, მეგა-შოუები, რომელთა ეთერში განთავსებამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მთლიანად არხის ყურებადობის მაჩვენებლები, როგორც ტელე, ისე ონლაინ სივრცეში.

„საქართველოს ვარსკვლავი“ - მეორე სეზონი. პროექტი ეთერში შევიდა 26 ოქტომბერს, დასრულდა 31 დეკემბერს.

“მასტერშეფი“ - მეორე სეზონი. პროექტი ეთერში შევიდა 27 ოქტომბერს და დასრულდება 1 იანვარს.

„რა? სად? როდის?“ - მეორე სეზონი. პროექტი ეთერში შევიდა 24 ნოემბერს და დასრულდება 1 იანვარს.

2019 წლის მეოთხე კვარტალში ეთერში განთავსდა მხატვრული სერიალი „იდეალური დედა“, რომელსაც გასულ სეზონიდან იცნობდა არხის მაყურებელი. სერიალმა შეიცვალა ქრონომეტრაჟი და განთავსების დრო. სერიების ქრონომეტრაჟი 30 წუთი, კვირაში სამი დღე (ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი) 22:00 სთ.

აკა მორჩილაძის საავტორო პროექტი „თბილისის კართან“. 8 ეპიზოდი. განთავსების თარიღი: 11 ნოემბერი-16 დეკემბერი.

“გამომძიებელი რეპორტიორი“ - 2019 წლის სატელევიზიო სეზონის მეოთხე კვარტალში, 20 ნოემბერს, ეთერში განთავსებული იყო ფილმი “წყლის მაძიებელი საქართველო“.

○ საზოგადოებასთან ურთიერთობა

დეკემბრის თვეში, პირველი არხის მხარდაჭერით, გაიმართა თბილისის საერთაშორისო ფესტივალი "პრომეთე". გამარჯვებულად დასახელდა ორი ფილმი- (მოკლემეტრაჟიანი) მხატვრული და დოკუმენტური, რომელთა ავტორებსაც გადაეცათ ფულადი პრიზი 20 ათასი ლარის ოდენობით,

პირველმა არხმა მედია მხარდაჭერა გაუწია ფონდის „ცხოვრება მშვენიერია“ საქველმოქმედო ღონისძიებას.

ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მედია მხარდაჭერით გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“.

ნოემბერ-დეკემბრის თვეებში პირველმა არხმა მედიამხარდაჭერა გაუწია „თბილისის ბაროკო ფესტივალს“:

მედიამხარდაჭერა გაეწია მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული გასტრონომიული ჩემპიონატის „ბოკუს დორის“ [Bocuse D'Or] ქართულ წარმომადგენლობას „ბოკუს დორ ჯორჯიას“.

რეჟიმში მიმდინარეობს მოქალაქეების წერილების და სატელეფონო ზარების მონიტორინგი და უკუკავშირის განხორციელება.


○ საერთაშორისო მიმართულება

- საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, ტრენინგებს და ვორქშოფებს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ თინათინ ბერძენიშვილმა ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურ ასამბლეაზე შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, მნიშვნელოვანი დოკუმენტი, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მედია ორგანიზაციებისთვის ერთგვარი გაიდლაინი - წარადგინა. დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია [ბმულზე](#).


○ კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

სწორი პროგრამირების და წარმატებული პროექტების გამო, არხის მიმართ გაიზარდა ლოიალურად განწყობილი მაყურებლის რაოდენობა. შესაბამისად, მეოთხე კვარტალში, მესამე კვარტალთან შედარებით, გაიზარდა პირველი არხის აუდიტორია და არხის წილი:

საშუალო წუთობრივი რეიტინგი გაიზარდა 23.6 %-ით



არხის წილი გაიზარდა 7.1%-ით



EBU-ს მოთხოვნის შესაბამისად, მომზადდა და გაიგზავნა ევროპის 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის წყალბურთის შესარჩევი მატჩების სარეიტინგო მონაცემები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით, მომზადდა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე, მონიტორინგის უწყვეტი პროცესის წარმართვას. პროექტის ფარგლებში, მეოთხე კვარტალში მიმდინარეობს:

- მაუწყებლის ყველა პლატფორმის უწყვეტი მონიტორინგი;
- პროგრამის ტექნიკური დახვეწის პროცესი;
- მონიტორების კოორდინაცია;
- ახალ სერვერზე გადასვლის პროცესი;

მონიტორინგის მასალების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე მომზადდა სხვადასხვა თემების გაშუქების ანგარიშები.

- **ვიზუალური გაფორმების ჯგუფი**

საანგარიშო პერიოდში, ვიზუალური გაფორმების ჯგუფმა იმუშავა მიმდინარე თუ ახალ პროექტებზე. ჯგუფის მიერ მომზადებული ანონსები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://1tv.ge/show/anonsebi/?tab=video&video_category=0

- **მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური**

მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახურმა, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში გაახმოვანა სერიალები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები, სულ 327 საათი.

შესყიდული იქნა:

სერიალები - „ქალების სამოთხე“, მე-4 სეზონის პირველი 50 სერია (RAI, იტალია); „კარგი ექიმი“, მე-3 სეზონი (SONY, აშშ).

კომპანია “Arte France”-სგან დოკუმენტური ფილმები:

ფორმატები გადაცემებისთვის:

მეექვსე კლასელზე ჭკვიანი, მე-2 სეზონი (MGM, აშშ);

საქართველოს ხმა (The Voice, “Talpa Global B.V.; ნიდერლანდები);

მარტივი ლოგიკა, მე-3 სეზონი (Endemol, ნიდერლანდები);

მასტერშეფი, მე-3 და მე-4 სეზონები (Endemol, ნიდერლანდები).

საქართველოს პირველი არხი მონაწილეობდა ყოველწლიურ სატელევიზიო ბაზრობაში MIPCOM 2019, რომელიც ჩატარდა საფრანგეთის ქალაქ კანში 12-16 ოქტომბერს. შეხვედრები გაიმართა არსებულ და პოტენციურ პარტნიორებთან.

- **ონლაინ მედია**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - 1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე, დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

- მიმდინარეობს ვებპროექტ „აუდიომუზეუმის“ ტექნიკური სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავს მომხარებლებისთვის საქართველოს პირველი არხის აუდიოარქივის მასალების მიწოდებას ვებპლატფორმის საშუალებით.
 - მიმდინარეობს ახალი ვიდეო/აუდიო ფლეიერის ტექნიკური სამუშაოები.
 - დასრულდა ახალი LIVE ფლეიერის ტექნიკური სამუშაოები.
 - ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:
- ვებ-გვერდის 1tv.ge სტატისტიკა

IV კვარტალი 2019	III კვარტალი 2019
ვიზიტი ვებ-გვერდზე - 20,092,327	ვიზიტი ვებ-გვერდზე - 10,078,300
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) – 99,136	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) – 81,980
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 218,395	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 109,546
მაქსიმალური მაჩვენებელი - 409,160 (29 ოქტომბერი, 2019)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 311,350 (27 სექტემბერი, 2019)

- იუთუბ არხების სტატისტიკა

IV კვარტალი 2019	III კვარტალი 2019
ნახვა - 50,200,000	ნახვა - 28,300,000
საშუალოდ დღეში ნახვა - 545,652	საშუალოდ დღეში ნახვა - 308,000
მაქსიმალური მაჩვენებელი - 543,000 937,000 (18 ნოემბერი, 2019)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 543,000 (8 ივლისი, 2019)

- დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ლიდერია ქართულ მედიაში.
- ვიზიტები YouTube-არხებზე 2019 წელს - 145 მლნ

○ ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი (2019 წლის მეოთხე კვარტალი)

ვიდეოების საერთო ნახვა - 42.4 მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები გაზრდილია 62 %-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1.2 მილიონი - წინა სამ თვესთან შედარებით გაზრდილია 67 %-ით



○

გვერდის საერთო ლაიკების რაოდენობა 303,484- გაზრდილია 9.2%-ით



ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. 2019 წლის IV კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა მოამბის სტუდიაში დემონტაჟი ჩატარდა ძველ LED ვიდეო მონიტორების ეკრანს (ვიდეო კედელს), მის ნაცვლად დამონტაჟდა ახალი მაღალი ხარისხის LED ვიდეო მონიტორების ეკრანი. გაკეთდა შესაბამისი კომუნიკაციები.
2. მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა მოამბის სტუდიაში დამატებით დამონტაჟდა მეშვიდე (მე7-ე) „Sony“-ის სტუდიური ვიდეოკამერა და კამერის არხი.
3. მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა მოამბის სასერვეროში შეიცვალა დაზიანებული მოამბის არქივირების ჩამწერი სერვერი „Axon“-ი. (დაზიანებული სერვერი შემდგომ გარემონტდა)
4. ტელევიზიის პირველი არხის საეთეროში დამონტაჟდა ახალი HD კომპიუტერული ვიდეო აღწარმოების სერვერი, რომელიც წარმოადგეს არსებული „AVID“-ის სერვერის რეზერვს.
5. სატელიტურ სააპარატოში დაზიანდა აუდიო-ვიდეო გადამრთველი მატრიცა, პარალელურ რეჟიმში ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დაიწვა 4 აუდიო და ვიდეო კორექტორის პლატები. (აღნიშნული მოწყობილობები გარემონტდა რემ-ჯგუფის მიერ, ასევე სატელიტურ სააპარატოში გაკეთდა დამატებითი დამცავი დამიწება).
6. მაუწყებლის პირველ სართულზე განთავსებულ `მრავალფეროვანი საქართველოს` სტუდიაში დამონტაჟდა ახალი სინქრონული თარგმნის აპარატურა, რომელიც შემენილ იქნა ამერიკის საელჩოს დაფინანსებით. აღნიშნული აპარატურის დამონტაჟების შემდეგ საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ პირდაპირ ეთერში სინქრონული თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ხორციელდება ზემოაღნიშნული სტუდიიდან.
7. გარემონტდა საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ 1 ერთეული „Live-U“-ს გადამცემი მოწყობილობა. (ზემოაღნიშნულ მოწყობილობას შეეცვალა დამწვარი LCD „თაჩ-სკრინ“ დისპლეი)

გავრცელების პლატფორმები, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები-

რადიომაუწყებლობა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის, „საქართველოს ტელე-რადიოცენტრისა“ და ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მონაწილეობით მომზადებული სიხშირული გეგმით, რომელშიც გათვალისწინებული იყო დამატებითი რადიოსამაუწყებლო სადგურების დამატება არსებულ ქსელში, სრულად ჩატარდა პუნქტებზე საინსტალაციო და ტექნიკის ჩანაცვლების სამუშაოები, რადიო-მაუწყებლობის პუნქტების საერთო რაოდენობა კი 50-მდე გაიზარდა.

შპს „საქართველოს ტელე-რადიოცენტრის“ თანამშრომლების მიერ განხორციელდა მეორე ეტაპის გეგმით გათვალისწინებული გადამცემების მონტაჟი. ჩაირთო რამდენიმე პუნქტი, სადაც დამონტაჟდა ახალი სადგურები და რამდენიმე საიტი, მოიხსნა ძველი და დაინსტალირდა ახალი მოდულატორები RDS ავტომატური სიხშირის ძიების

მხარდაჭერით და დაშორებული მართვით. 2019 წლის მეოთხე კვარტალში დამონტაჟდა/ ჩანაცვლდა ახლით 20-ზე მეტი გადამცემი. ყველა სადგურს, სადაც არ იყო უზრუნველყოფილი RDS მონაცემთა არხი, გამოეცვალა მოდულატორები. დაიგეგმა 2020 წლისათვის რადიოსამაუწყებლო ქსელის განვითარება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მიღებული დაფარვის შესწავლისათვის შეძენილ იქნა შესაბამისი FM მონიტორინგის ტექნიკა. ხელსაწყო საშუალებას მოგვცემს მოვაწყოთ გასვლითი გაზომვების სამუშაოები.

ტელემაუწყებლობა:

DVB-T2 სატელევიზიო გავრცელების პლატფორმა მუშაობდა საიმედოდ. შესწავლილი იქნა საკითხი თანმდევნი აუდიოარხების იმბედირებული ბილიკების ნაკადური სიჩქარეების გაზრდის შესაძლებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მუსიკალური და მხატვრული შინაარსის კონტენტი პროგრამირებაში დიდი ოდენობით იქნება, სასურველია ნაკადური სიჩქარეების გაზრდა გადაცემული აუდიო კონტენტის ხარისხის ასამაღლებლად.

სატელიტური პლატფორმა:

2019 წელს რაგბიში ჩემპიონატის სიგნალების მიღებისათვის აუცილებელი გახდა 7 გრადუსზე ორიენტირებული ანტენის თაურების გადანაცვლება და აწყობა KU Hi Band დიაპაზონზე. სატელიტების ჯგუფის მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა მიგვაღებინა გადაწყვეტილება, საერთაშორისო ღონიძირებების სიგნალების მიღების უზრუნველყოფისათვის შეგვეძინა ახალი დამატებითი თაურა. ახალი მიმღები თაურა შეძენილი და დამონტაჟებული იქნა დეკემბერში, რამაც მთელს დიაპაზონზე საიმედო მიღების დონე უზრუნველყო.

მონიტორინგის, ტექნიკური კონტროლის მონაცემები:

2019 წლის მიწურულს, განახლებული გადამცემების ქსელის უზრუნველყოფილი დაფარვა გადამოწმებულ იქნა საკუთარი ჟურნალისტების მიერ რეგიონებში ჩატარებული გამოკითხვით. რადიომაუწყებლობის ქსელის ფუნქციონირების შეფასება უმრავლეს შემთხვევაში დადებითი გახლდათ. რეგიონებში, ან პუნქტებში სადაც, რესპოდენტთა თქმით, რადიოს წვდომაში შეიმჩნეოდა ხარვეზები, მოხდა ინფორმაციის გადამოწმება შემდგომი სამუშაოების დაგეგმვის მიზნით. დაიგეგმა მონიტორინგის ორკაციანი ჯგუფის შექმნა, რათა დაფარვის ხარისხის კონტროლის და რეგიონალური მონიტორინგის მონაცემები უფრო სრულყოფილი გახდეს. ამავე ჯგუფის მიერ მოხდება გასვლითი გაზომვების შედეგების დოკუმენტირება და სისტემატიზაცია.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

1. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და ჩატარებული იქნა ტენდერი ინტერნეტის მოწოდების მომსახურებაზე და მონაცემთა კოლოკაციაზე. არხი გადაყვანილი იქნა გამარჯვებული კომპანიის ინტერნეტ მოწოდებაზე..(ტენდერი დასრულდა წარმატებით)
2. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი ინტერნეტ სტრიმის მომსახურებაზე. (ტენდერი დასრულდა წარმატებით)
3. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი ქსელური მონაცემთა შემნახველის 2 ერთეული(NAS) შესაძენად. (ტენდერი დასრულდა წარმატებით)
- 4.მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი 45 ერთეულ სამონტაჟო სამუშაო სადგურების შესაძენად (ტენდერი დასრულდა წარმატებით)
5. ასევე შეძენილი იქნა დამატებით ერთი ქსელური მონაცემთა შემნახველი (NAS) და 28 ერთეული 8 TB-იანი მყარი დისკი(HDD) ზემოთ ხსენებული (NAS)- ებისთვის.
6. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია სერვერების და სანახი სისტემების შესაძენად.
(გადაგზავნილია ადმინისტრაციაში თანხმობის მისაღებად)
7. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია ქსელური მოწყობილობების შესაძენად.
(გადაგზავნილია ადმინისტრაციაში თანხმობის მისაღებად)

წარმოების სამსახური

წარმოების სამსახურმა, სრული დატვირთვით, სრული პასუხისმგებლობით და წარმატებით შეასრულა სამსახურის, ძირითადი მოვალეობა, კონკრეტული მიმართულებების, მიერ დაგეგმილი გადაცემების მოსამზადებლად და სხვადასვა, ღონისძიებების გასაშუქებლად ტექნიკური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, ტექნიკურ სამსახურთან და შემოქმედებით მიმართულებებთან ყოველდღიური ურთიერთობის საფუძველზე, 2019 წლის -ოქტომბერი- ნოემბერი- დეკემბრის თვეში.

სტუდიური გადაცემების პარალელურად ხდებოდა სხვადასხვა, გარე გადაღებების ტრანსლირება.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

1. ინფორმაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ დასაქმებული იყო 1174 თანამშრომელი (მათ შორის 495 ქალი).

2. ინფორმაცია 2019 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის მდგომარეობით

- ა) 2019 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“
- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 84 თანამშრომელს;
 - სამუშაოზე მიღებული იქნა 8 თანამშრომელი;
 - შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 10 თანამშრომელთან;
 - დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 7 თანამშრომელი;
 - 2019 წლის ოქტომბრის თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ მიიღო 9 სტაჟიორი.
- ბ) 2019 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“
- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 84 თანამშრომელს;
 - სამუშაოზე მიღებული იქნა 15 თანამშრომელი;
 - შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 11 თანამშრომელთან;
 - დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 6 თანამშრომელი;
 - 2019 წლის ნოემბრის თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ მიიღო 10 სტაჟიორი.
- გ) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“
- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 85 თანამშრომელს;
 - სამუშაოზე მიღებული იქნა 4 თანამშრომელი;
 - შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 8 თანამშრომელთან;
 - დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 4 თანამშრომელი;
 - 2019 წლის დეკემბრის თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ მიიღო 4 სტაჟიორი.

იურიდიული სამსახური

1. ხელშეკრულებების შესახებ

2019 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 270 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2019 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	ფ/პ ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს“ დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p> <p>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი</p>
2.	ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივი მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.</p> <p>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სააპელაციო საჩივარი, განჩინება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში</p>
3.	ფ/პ ზესიკ შარაშიძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივი მაუწყებელს ბ. შარაშიძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- განჩინება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში</p>
4.	ფ/პ გაგა მოდებაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივი მაუწყებელს გ. მოდებაძის სასარგებლოდ</p>

			დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.
5.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში - სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.
6.	ფ/პ ლაშა მესხი	1) შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით; 2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3) სამსახურში აღდგენა; 4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება; 5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ლ. მესხის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. დ) ლ. მესხის მიმართ სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში _ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ლ. მესხის სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ კომპენსაციის დაკისრების ნაწილში. _ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული საკასაციო წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა ლ. მესხის სარჩელი, ლ. მესხის მიერ ასევე გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრები მიღებულია წარმოებამდე.
7.	ფ/პ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
8.	ფ/პ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
